ქართული რენესანსის საკითხისათვის

სიბაშვილი გიორგი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/tuw.2025.38.01.22

აბსტრაქტი: *რენესანსის ანუ აღორძინების ცნებაში XV-XVI საუკუნეების ევროპის კულტურული აღმავლობის ეპოქა მოიაზრება, რომლის იდეურ შინაარსს ჰუმანიზმი წარმოადგენს. იგი ამქვეყნიური სინამდვილის ანტიკური გაგების აღორძინებას ნიშნავს. თუმცა მასში შუა საუკუნეების ქრისტიანულ-რელიგიური ღირებულებების გავლენაც ნიშანდობლივია.*

რენესანსის სამშობლოდ იტალია ითვლება, საიდანაც იგი მთელ ევროპაში ვრცელდება და ევროპული რენესანსის სახელწოდებით აღინიშნება. ამავდროულად, ევროპაშივე ჩნდება ეჭვი არაევროპული, ანუ აღმოსავლური რენესანსის არსებობის ნიშნების შესახებ.

აღმოსავლური რენესანსის ტიპიური მაგალითია ქართული რენესანსი. ივანე ჯავახიშვილის აზრით, ქართველობამ ელინური შემოქმედების ნიმუშები იგემა და დაეწაფა იმ ცხოველმყოფელს ელინიზმს, რომლის ღრმა და საფუძვლიანმა შესწავლამ დასავლეთის ევროპაში ეგრეთ წოდებული „რენესანსი“ წარმოშვა. საქართველომ ეს მოძრაობა უკვე XII საუკუნეში დაიწყო, მაგრამ მისი დასრულება მონღოლ-თათართა შემოსევამ შეაფერხა.

რენესანსის თეორიის შემუშავება 30-იანი წლების II ნახევრიდან დაიწყო შალვა ნუცუბიძის მიერ ბიზანტიის რენესანსის აღიარებით. ბიზანტიის რენესანსი, აღნიშნავდა იგი გამოკვლევაში („იოანე პეტრიწი“), წარმოადგენდა ერთ-ერთ დიდ ნაკადს, საიდანაც დასავლეთ ევროპამ მიიღო განახლების სტიმული; მან შეამზადა დასავლეთ ევროპის რენესანსი. მაგრამ ბიზანტიის რენესანსი შეჩერდა და ეს კულტურული მოძრაობა გაგრძელდა საქართველოში XI–XII სს-ში იოანე პეტრიწისა და /შოთა რუსთაველის შემოქმედებაში.

ქართული რენესანსის შესახებ განსხვავებულ აზრს ანვითარებს გრიგოლ რობაქიძე. იგი ქართულ რენესანსს XX საუკუნეში წინასწარმეტყველებს. მისი აზრით,
სწორედ ამ საუკუნის საქართველოს ისტორიაში ისახება ქართული რენესანსის ნიშნები.

გრიგოლ რობაქიძის აღნიშნული მოსაზრება იძლევა უფრო მეტი იმედისა და ოპტიმისტური მტკიცების საფუძველს საქართველოსთვის, XXI საუკუნეში ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებული, ქართული რენესანსის განმტკიცებისა და განვითარების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: *რენესანსი; ჰუმანიზმი; ევროპული რენესანსი; აღმოსავლური რენესანსი; ბიზანტიური რენესანსი; ისლამის რენესანსი; ქართული რენესანსი.*

შესავალი

რენესანსის ანუ აღორძინების ცნებაში XV-XVI საუკუნეების ევროპის კულტურული აღმავლობის ეპოქა მოიაზრება და მის იდეურ შინაარსს ჰუმანიზმი წარმოადგენს. იგი ამქვეყნიური სინამდვილის ანტიკური გაგების აღორძინებაა, თუმცა ასევე, მასში შუა საუკუნეების ქრისტიანულ-რელიგიური ღირებულებების გავლენაც შეინიშნება.

რენესანსის ცნება პირველად გამოიყენა დიდმა იტალიელმა ხელოვანმა ჯორჯო ვაზარიმ მეთექვსმეტე საუკუნეში. ხოლო თანამედროვე მნიშვნელობით ეს ტერმინი

შემოიღო XIX საუკუნის ფრანგმა ისტორიკოსმა ჟიულ მიშლემ. შესაბამისად რენესანსის სამშობლოდ იტალია ითვლება.

Renaissance ფრანგული სიტყვაა და „ხელმეორედ“ დაბადებას, ხოლო Rinascimento იტალიური სიტყვაა და „ხელახლა“ დაბადებას ნიშნავს. რენესანსი დამკვიდრდა მეცნიერებაში შუა საუკუნეების შემდეგ, როგორც კულტურის ისტორიული შემობრუნების აღმნიშვნელი ცნება და იგი თავისი ბუნებით ანთროპოცენტრისტულია.

რენესანსული კულტურის ამსახველ ღირებულებათა მოძღვრებამ სამყაროს ცენტრად მიიჩნია ადამიანი, როგორც ბუნების ნაწილი და ბუნების ყველაზე სრულყოფილი ქმნილება. ანუ ადამიანი ხდება მთავარი ფასეულობა. შესაბამისად რენესანსის ეპოქის მთავარი დევიზი და საზოგადოების ინტერესების ცენტრია „რეალური ადამიანი, რეალურ გარემოში“.

რენესანსი იტალიიდან მთელ ევროპაში ვრცელდება და იგი ევროპული რენესანსის სახელწოდებით აღინიშნება. იტალიური ანუ ევროპული რენესანსი.რაც ზოგჯერ გაიგივებულია თანამედროვე ეპოქის დასაწყისთანაც.

ამავდროულად ევროპაშივე ჩნდება ეჭვი არაევროპული, ანუ აღმოსავლური რენესანსის არსებობის ნიშნების შესახებ. ამ კუთხით საურადღებოა შვეიცარიელი ორიენტალისტის ადამ მეცის წიგნი შთამბეჭდავი სათაურით: „ისლამის რენესანსი“. ამ წიგნის ავტორის მიერ გამოთქმულია შეხედულებანი არაბული ხალიფატის IX–X საუკუნეებში განვითარებულ მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა შემცველ მთლიან კულტურულ მოვლენათა არსებობის შესახებ. რაც მრავალ მეცნიერთა მიერ

ისლამური კულტურული აღმავლობის ანუ ისლამური რენესანსული კულტურის ნიშნებად იქნა მიჩნეული.

ისლამურმა რენესანსმა, რომელსაც მუსლიმი მეცნიერები „ისლამის ოქროს ხანად“ მოიხსენიებენ, ფართო გავრცელება ჰპოვა არა მარტო ისლამური რელიგიის მიმდევარ ქვეყნებში, არამედ მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი მაჰმადიანური სარწმუნოების მქონე აზია - აფრიკის ქვეყნებში. მათივე მტკიცებით, ისლამურმა რენესანსმა საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა მთელ მსოფლიოში რენესანსული კულტურის განვითარების თვალსაზრისით, მეცნიერების, ხელოვნების და კულტურის სხვადასხვა სფეროში.

ანალოგიურ შეხედულებებს ანვითარებს გამოჩენილი ინგლისელი მეცნიერი ჰორვარდ ტერნერი. რომლის აზრითაც, მუსლიმმა მხატვრებმა და მეცნიერებმა, ხელოსნებმა და მთავრებმა ერთად შექმნეს უნიკალური კულტურა, რომელმაც პირდაპირი და არაპირდაპირი გავლენა იქონია ყველა კონტინენტზე.

აღმოსავლური რენესანსის ტიპიური მაგალითია ქართული რენესანსი. რის შესახებაც, ყველაზე ადრე ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ქართველობამ ელინური შემოქმედების ნიმუშები იგემა და დაეწაფა იმ ცხოველმყოფელს ელინიზმს, რომლის ღრმა და საფუძვლიანმა შესწავლამ დასავლეთის ევროპაში ეგრეთწოდებული „რენესანსი“ წარმოშვა. ივანე ჯავახიშვილის აზრით, საქართველომ ეს მოძრაობა უკვე XII საუკუნეში დაიწყო, მაგრამ მისი დასრულება მონღოლთა შემოსევამ შეაფერხა.

აღმოსავლური, კერძოდ ქართული რენესანსის თეორიის შემუშავება შალვა ნუცუბიძის სახელთანაა დაკავშირებული. ნუცუბიძის მიერ ბიზანტიის რენესანსის აღიარებით, იქმნება აზრი აღმოსავლური რენესანსის, ევროპულ რენესანსზე ადრე არსებობის შესახებ და რომ ბიზანტიის რენესანსი, წარმოადგენდა ერთ-ერთ დიდ ნაკადს, საიდანაც დასავლეთ ევროპამ მიიღო განახლების სტიმული, რამაც შეამზადა

დასავლეთ ევროპის რენესანსი. ბიზანტიის რენესანსი შეჩერდა და ეს კულტურული მოძრაობა გაგრძელდა XI–XII საუკუნეების საქართველოში ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის, კონკრეტულად კი იოანე პეტრიწისა და |შოთა რუსთაველის შემოქმედების თვალსაზრისით.

გრიგოლ რობაქიძე ქართული რენესანსის შესახებ განსხვავებულ აზრს ანვითარებს. იგი ქართულ რენესანსს ანუ მთლიან კულტურულ აღორძინებას XX საუკუნეში წინასწარმეტყველებს. მისი აზრით, სწორედ ამ საუკუნის საქართველოს ისტორიაში ისახება ქართული რენესანსის ნიშნები.

ამ ნიშანთაგან მას უმთავრესად და ქართული რენესანსის ჩასახვის მისტიურ სიმბოლოდ, „წიწამურის ველი“, მეოცე საუკუნის საქართველოს უდიდესი ეროვნული ტრაგედია, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა მიაჩნია. დღესაც გლოვის ზარად და მოუშუშებელ, მარადიულ ჭრილობად აღიქმება მისი სულის შემძვრელი სიტყვები: „ქართველმა მოკლა საქართველოს მძლავრი მხედართმთავარი“. ხოლო სისხლით შესვრილ საკუთარ ხელს რომ დახედა, მკვლელმა საქართველოს სახე დაინახა და არასოდეს ისე მძაფრად არ უგრძვნია ქართველს საქართველო, როგორც ამ ტრაგიკულ წამს, როდესაც მსხვერპლად შეიწირა სამშობლომ მისი უკვდავი, მისთვის თავდადებული, ერთგული შვილი“ (*რობაქიძე, გრ. 1917. # 257).*

გრიგოლ რობაქიძის აზრით, რენესანსის ეპოქა მეოცე საუკუნის საქართველოში. ამ უდიდესი ეროვნული, ტრაგიკული მოვლენით დაიწყო და განმტკიცდება იგი, როგორც დიადი გარდატეხის, დიდი აღმავლობის ეპოქა ანუ რენესანსის ეპოქა მეოცე საუკუნის საქართველოში.

მისივე მტკიცებით, ამ საუკუნეში საქართველო ან სრულად მოისპობა ანდა აყვავდება. თუმცა იგი ქართული რენესანსის საწინააღმდეგოდ არსებული მრავალი სიძნელის გაცნობიერების მიუხედავად, თავის საკუთარ სამშობლოს აყვავებას უწინასწარმეტყველებს. ამისათვის კი, მას საქართველოს ისტორიის საქმედ მიაჩნია სძლიოს ეს სიძნელენი. ხოლო ძლევისათვის კი, ამ სიძნელეთა მიზეზთა შეცნობა მიაჩნია საჭიროდ. გრიგოლ რობაქიძის დასახელებული პირველი სიძნელე უფრო ანთროპოლოგიური ხასიათისაა. მისი მტკიცებით: „არც ერთი ხალხი იმთავითვე ერთიან ეროვნულ პლაზმად არ ჩამოსხმულა“ (*რობაქიძე, გრ. 1917. # 257).* ამ აზრის განსამტკიცებლად მოჰყავს მას ბერძნების, ფრანგების, რუსების ისტორია. თუმცა მიაჩნია, რომ ამ მხრივ ხალხთა შორის ძველი ბერძნების მაგალითი გენიალურ გამონაკლისს წარმოადგენს.

მისი აზრით, ეს პროცესი საქართველომაც განიცადა, რის ერთ-ერთ ნიშნადაც საქართველოში არსებული პარტიკულარიზმი მიაჩნია: „ჩვენში საშინელი სიმძაფრით იჩენს თავს თემური პარტიკულარიზმი: იმერელი, ქართლელი, კახელი, გურული, მეგრელი და სხვა, ერთი ხის შტოა ყოველი მათგანი. ეს ერთგვარი მრავალფერობაა, მდიდარი სახესხვაობაა“ (*რობაქიძე, გრ. 1917. # 257).* .

მეორე სიძნელეა ის, რომ: „ჩვენმა ისტორიამ არ იცის სასტიკი აბსოლუტიზმი. და მიაჩნია, რომ აბსოლუტიზმი ისტორიაში აუცილებელიც არის და საჭიროც, ვინაიდან მრავალ სასტიკ მხარესთან ერთად მას აქვს ერთი მეტად მნიშვნელოვანი მხარეც: „იგი ჰქმნის ერთ მთლიან ფსიქიკას. ასხეულებს ერის ნებისყოფას (*რობაქიძე, გრ. 1917. # 257).*

იმის გამო, რომ საქართველოში, სასტიკი აბსოლუტიზმი არ ყოფილა, ამ მოვლენამ ხელი შეუწყო ჩვენს ეროვნულ დაქსაქსულობას. გარდა ამისა, განაგრძობს იგი, „არის კიდევ ერთი უცნაურობა ჩვენს ისტორიაში. დასავლეთ ევროპაში ფეოდალიზმის ნანგრევებზე აღიმართა აბსოლუტიზმი, ჩვენში კი სუსტი

აბსოლუტიზმის შემდგომ თანდათან გაძლიერდა ფეოდალური მიდრეკილებანი“ (*რობაქიძე, გრ. 1917. # 257).*

მესამე სიძნელე გავლენის სფეროს შეეხება: „ჩვენმა ისტორიამ ხშირად იცის სხვისი გავლენა, მონგოლების შემოსევა, არაბულ-სპარსული გავლენა, ბიზანტიური “შემორევა”, რუსული “შემოსვლა”. თავისთავად ცხადია, გავლენას ყოველი ერი განიცდის. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ყოველ ჯანსაღ ერს შესწევს შემტევი ძალა, რომელიც უმკლავდება ამ გავლენას. ამ ბრძოლაში ყალიბდება ერის შემოქმედება“(*რობაქიძე, გრ. 1917. # 257).*

მისი აზრით, საქართველოს ჰქონდა შემტევი ძალა. ეს შემტევი ძალა საქართველოში ყოველთვის არ ყოფილა მახვილი და მედგარი. ჩვენს კულტურას, ყოველ სფეროში, მრავალი “გავლენა” შესისხლხორცებული და გარდაქმნილი კი არა აქვს, არამედ მიკრული მეტხორცად. ეს გავლენა _ “მეტხორცი” მესამე სიძნელეა ქართული რენესანსის საწინააღმდეგოდ ამართული(*რობაქიძე, გრ. 1917. # 257).*

კულტურის ტრაგედიას, ისიც შეადგენს, რომ ისტორიის რომელიღაც ხანაში „კირთების“ ქვეშ ყოფნაც არის აუცილებელი და საჭირო.

მას მიაჩნია, რომ ამ აზრით მართალნი არიან მარქსისტები, როცა ამტკიცებენ, რომ საქართველოს ერთიანობა რუსეთის ხელმწიფების ქვეშ განმტკიცდა. რასაც იგი „საშინელ უცნაურობას“ უწოდებს.

„პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩვენ ვერ შევქმენით მტკიცე და მძლავრი ხელმწიფება. ამან კი ხელი შეუწყო ჩვენში ანარქიული ბუნების განვითარებას“ (*რობაქიძე, გრ. 1917. # 257).* თუმცა მას მიაჩნია, რომ ქართული რენესანსისათვის პირობები თანდათან უკეთესდება. და დღეს თუ ხვალ საქართველო განთავისუფლდება, გაერთიანდება, გამთლიანდება და მთლიანი საქართველო მრავალ სიძნელეს გადალახავს.

დასკვნა

რენესანსის ანუ აღორძინების პრობლემის შესახებ ჭეშმარიტი წარმოდგენის გასააზრებლად, განსხვავებულ თვალსაზრისთა შორის ძნელია გამოარჩიო რომელი ავტორის აზრია უფრო სწორი, რენესანსის არსის შესახებ. ვინაიდან ყველა მათგანი შეიცავს ჭეშმარიტ ღირებულებებს.

რენესანსი ანუ მთლიანი კულტურული აღორძინება, შესაძლებელია და სავსებით კანონზომიერია, რომ შესაბამისი პირობების წარმოშობის საფუძველზე განხორციელდეს როგორც ევროპულ-დასავლურ კულტურაში, ასევე აზიურ-აღმოსავლურში, ამერიკულ ან აფრიკულ კულტურაში. ასევე, რომელიმე ალკეულ სახელმწიფოში და თანაც არა მხოლოდ ერთხელ, არამედ თუნდაც ორჯერ და ა.შ.

კულტურის აღმავლობა-დაცემა და კვლავ ახალი აღმავლობა, ანუ უფრო ძველის აღორძინება დაპირიპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის დიალექტიკის კანონის შესაბამისად მოქმედ პროცესად შეიძლება იქნას განხილული. ასეთი პროცესი კი ყველგან შეიძლება აღმოცენდეს სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა ქვეყნებში, მათი სახელმწიფოებრივი, როგორც მატერიალური, ასევე სულიერი კულტურის ფორმათა ცივილური წესის დამკვიდრების შედეგად.

ანტიკური ბერძნული ცივილური კულტურის პოზიტიური გავლენა შუა საუკუნეების კულტურაზე და მისი მიჩნევა რენესანსის კულტურის საფუძვლად ბადებს კითხვას, თვითონ ანტიკური კულტურის ჩამოყალიბების საფუძვლების შესახებ. იგი მხოლოდ ბერძნული მითოლოგიის წიაღში უნდა ვეძებოთ, თუ სხვა უფრო ძველი ან უფრო ადრეული, უკვალოდ გამქრალი, თუმცა რაღაც ფორმით შემორჩენილ ცივილიზაციათა შორის. მათ შორის რელიგიურ ცივილიზაციათა

შორის (ცნობილია აზრი, რომ პლატონი ეგვიპტესა და სირიაში მოგზურობის დროს გაეცნო და მასზე გარკვეული გავლენაც მოუხდენია ებრაელ რაბინთა სიბრძნეს. თუმცა იგი დამალა იმის შიშით, რომ სხვა რელიგიის გავლენა არ დაებრალებინათ მისთვის). ამ მაგალითიდან შეიძლება დავინახოთ რენესანსის ნიშნების არსებობა რელიგიაშიც. რაც ჩვენი აზრით, სულიერი კულტურის ორი მზგავსი და ამავე დროს გასხვავებული ფორმის მითოლოგიისა და რელიგიის მსოფლმხედველობათა ურთიერთგავლენის ფონზე იქმნება ახალი ქრისტიანული მსოფლმხედველობა. შეასაბამისად ყველაზე ადრეული იუდაიზმის მონოთეისტური რელიგიის გავლენა, ძველ ბერძნულ პოლითეისტურ რელიგიაზე, უფრო პროგრესული, ჰუმანური, ქრისტიანული მონოთეიზმის შექმნით მთავრდება. რაც დიალექტიკური ტრიადის ფორმას იღებს და შესაბამისად რენესანსის ანუ აღორძინების პროცესის არსის წვდომა შესაძლებელი ხდება, რომ დიალექტიკის კანონების საფუძველზე იქნას ახსნილი. შესაბამისად რენესანსი ზოგადად არა ერთი სახელმწიფოს ან ეპოქის აღორძინებაა, არამედ იგი პოტენციურად, ნებისმიერი სახელმწიფოს, კონტინენტის, ეპოქის ძველ და ახალ კულტურათა ურთიერთგავლენის შედეგად ჩამოყალიბებულ კულტურათა სინთეზის, შედარებით უფრო ცივილურ ფორმად შეიძლება იქნეს მოაზრებული.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მეცნიერებაში გაჩნდა სკეპტიკური შეხედულებანი რენესანსის შესახებ. რომელნიც რენესანსის მოდერნულობას სკეპტიციზმით უყურებენ. მათ, რენესანსი არ მიაჩნიათ ისტორიულ ეპოქად. მათი აზრით, რენესანსი ჰუმანიზმსა და კლასიკურობაზე დამყარებული კულტურული პროგრამა ან მიმდინარეობაა, ვიდრე სრულიად ისტორიული ეპოქა.

განსაკუთრებულად დიდ ყურადღებას ითხოვს გრიგოლ რობაქიძის დღეისათვის, უკვე რეალობად ქცეული, „ასრულებული წინასწარმეტყველება“ ქართული რენესანსის მეოცე საუკუნეში განვითარებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევის შესახებ.

გრიგოლ რობაქიძის აღნიშნული მოსაზრება იძლევა უფრო მეტი იმედისა და ოპტიმისტური მტკიცების საფუძველს საქართველოსთვის, XXI საუკუნეში, ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებული, ქართული რენესანსის განმტკიცებისა და განვითარების შესახებ.

საქართველო ტერიტორიულად ორი კონტინენტის სიახლოვეს მდებარეობს. რის გამოც იგი ყოველთვის იდგა არჩევანის წინაშე. მას დღეისათვისაც, მიუხედავად უდიდესი მსოფლიო პრობლემებისა და ურთულესი რეგიონალური გამოწვევებისა, არ გაუჭირდება საკუთარი მომავლისათვის სწორი გზის არჩევა.

შესაბამისად რენესანსი ზოგადად არა ერთი სახელმწიფოს ან ეპოქის აღორძინებაა, არამედ იგი პოტენციურად, ნებისმიერი სახელმწიფოს, კონტინენტის, ეპოქის ძველ და ახალ კულტურათა ურთიერთგავლენის შედეგად ჩამოყალიბებულ კულტურათა სინთეზის, შედარებით უფრო ცივილურ ფორმად შეიძლება იქნეს მოაზრებული.

ამგვარი დასკვნის საფუძველს იძლევა მისი დიდი ისტორიულ-კულტურული, წარსული გამოცდილებები და ფაქტები. ამავე დროს ჩნდება და ძლიერდება ქართულ ეროვნულ-კულტურულ ღირებულებათა თავსებადობის ნიშნები საკაცობრიო-კულტურულ ფუნდამენტურ ღირებულებებთან.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ქართული სულიერი კულტურის უმეტეს ნაწილში, როგორიცაა მეცნიერება, ხელოვნება, სპორტი და აშ. იკვეთება უმნიშვნელოვანესი მსოფლიო რეზონანსის მქონე მასშტაბების წარმატებების ნიშნები.

აღნიშნულ წარმატებით ფაქტორთა გათვალისწინების საფუძველზე და ასევე გონივრული, დაბალანსებული საერთაშორისო საკაცობრიო ფუნდამენტურ ღირებულებათა ორიენტირით წარმართული პოლიტიკური ურთიერთობების ფონზე, საქართველოში გამოიკვეთება კულტურის ყველა სფეროს აღმავლობის, მთლიანი კულტურის აყვავებისა და განვითარების ახალი კონტურები და შესაძლებლობები. შესაბამისად რეალურად განხორციელებადი გახდება რენესანსი ანუ მთლიანი კულტურის აღორძინება XXI საუკუნის საქართველოში.

ლიტერატურა:
1. თევზაძე, გ. (1995). შალვა ნუცუბიძე და აღმოსავლეთის რენესანსის პრობლემები, კრებულში: ფილოსოფია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. ირემაძე, თ. (2019). შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფია. გამომც. „ფავორიტი სტილი.“
3. მახარაძე, მ. (2003). რენესანსი, ჰუმანიზმი და XI-XII საუკუნეების საქართველო. გამომც.,,ელფი“.
4.რობაქიძე, გრ. (1917). ქართული რენესანსი. გაზეთი საქართველო. N. 257.
5. ხიდაშელი, შ. (1988). ქართული ფილოსოფიის ისტორია. გამომც. „ მეცნიერება.“

For the issue of the Georgian Renaissance

Sibashvili Giorgi
Iakob Gogebashvili Telavi State University

Abstract

The concept of the Renaissance or revival refers to the era of cultural upsurge in Europe in the 15th-16th centuries, the ideological content of which is humanism. It means the revival of the ancient understanding of worldly reality. However, the influence of Christian-religious values of the Middle Ages is also noticeable in it.

Italy is considered the birthplace of the Renaissance and is celebrated under the name of the European Renaissance. However, in Europe itself, an opinion appears about the signs of the existence of a non-European, or Eastern Renaissance.

A typical example of the Eastern Renaissance is the Georgian Renaissance. According to Ivane Javakhishvili, the thorough study of Hellenism gave rise to the so-called “Renaissance” in Western Europe. Georgia began this movement already in the 12th century, but its completion was hindered by the Mongol-Tatar invasion.

Shalva Nutsubidze, in his study “Ioane Petritsi”, began the development of the theory of the Renaissance by recognizing the Byzantine Renaissance, from which, in his opinion, Western Europe received a stimulus for renewal and which prepared the Western European Renaissance. However, the Byzantine Renaissance stopped, and this cultural movement continued in Georgia in the 11th–12th centuries, in the works of Ioane Petritsi and |ShotaRustaveli.

Grigol Robakidze develops a different idea about the Georgian Renaissance. He predicts the Georgian Renaissance in the 20th century. In his opinion, it is precisely in the history of Georgia of this century that the signs of the Georgian Renaissance are visible.

Grigol Robakidze's stated opinion provides more hope and grounds for optimistic assertions about the strengthening and development of the Georgian Renaissance based on national traditions for Georgia in the 21st century.

Keywords: *Renaissance; Humanism; European Renaissance; Eastern Renaissance; Byzantine Renaissance; Islamic Renaissance; Georgian Renaissance.*